## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ მიზანშეწონილობისა და ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება

მებაღეობის სფერო განიცდის ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, შესაბამისად მებაღის მომზადება და დასაქმება აქტუალურია.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ განხორციელებასთან დაკავშირებით ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას:

არსებობს/პროგნოზირებულია მოთხოვნა მებაღეობის სფეროში შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტის პოზიციებზე. რეგიონში ჩატარებული ბაზრის კვლევისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგებმა და ამ სფეროში სტაბილური მოთხოვნის არსებობამ განაპირობეს პროფესიული პროგრამის „მებაღეობა“ განხორციელების საჭიროება.

უმუშევრობა საქართველოს ერთერთი ძირითადი გამოწვევაა. უმუშევრობის ზოგადი მაჩვენებელი 13.9 პროცენტს შეადგენს (საქსტატი, 2017), ხოლო თხუთმეტიდან 24 წლამდე ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია და 30-დან 40 პროცენტამდე მერყეობს. უმუშევრობის მაღალი დონე განპირობებულია, ერთის მხრივ, დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობით, ხოლო, მეორეს მხრივ, კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტით და პროფესიული განათლების სუსტი განვითარებით. ხარისხიანი პროფესიული განათლება დასაქმების მეტ შესაძლებლობას იძლევა, მათ შორის სოფლის მეურნეობის სფეროში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა აგრეთვე თვითდასაქმების საშუალებასაც და ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას. თვითდასაქმების ფარგლებში წარმოებული საქმიანობები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, წამყვან მიმართულებას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს (27%) (http://vet.ge/wp-content/uploads/2013/10/2017-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-Tracer-Study.pdf).

პროგრამის ეფექტურად განვითარების, განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს აჭარის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან, ა(ი)პ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან, ქალაქ ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციასთან, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობებთან, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობებთან.

ბსუ-ს აგრარული მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დიდი გამოცდილება გააჩნია. კერძოდ, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტი ახორციელებს განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიულ) საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს, როგორც საინჟინრო, ისე აგრარული მიმართულებით (აგრარული მიმართულება დაარსდა 1925 წელს). ფაკულტეტზე ცალკეა აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი, რომელიც სამი მიმართულებით მუშაობს: აგროეკოლოგია; მცენარეთა დაცვა; სატყეო საქმე.

ბსუ-ს ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 150 მეტრის სიმაღლეზე გააჩნია 20 ჰა სასწავლო საცდელი ბაზა, სადაც გაშენებულია სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის კულტურული მცენარეები. ბაზის ტერიტორია განსაკუთრებით მდიდარია დეკორაციული მცენარეებით. ბსუ ასევე იყენებს მოსაზღვრედ არსებულ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიას, რომელიც წარმოადგენს ღია აუდიტორიას სტუდენტებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებაღეობა“ მიზანია შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება მებაღეობის სფეროსთვის. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 12 თვე, კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას ბოტანიკურ ბაღებში, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურებში, პარკებში, სკვერებში, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობებში, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობებში, სამშენებლო კომპანიებში, დიზაინერული პროფილის ოფისებში.

პროგრამის მიზნები გამომდინარეობს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან და მიზნებიდან - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრიორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები, შავი ზღვის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ფიტოპათოლოგიური კვლევები, ასევე აგრარული მიმართულებისა და ტურიზმის განვითარება. ...“ (https://bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html);

ბ) სტრატეგიული გეგმიდან - „2.5. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა. ამოცანა 5. პრიორიტეტული პროგრამების ხელშეწყობა: უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტურიზმის, ზღვის ბიოლოგიისა და აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და რეგულარულად განახლებას“. (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf);

გ) პროფესიული განათლების მიმართულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან - სტრატეგიული მიზანი N1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივი განახლებისა და განვითარების ხელშეწყობა; „სტრატეგიული მიზანი 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება (https://bsu.edu.ge/sub-54/page/3-451/index.html).

პროგრამა მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „პროფესიული გადამზადებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემების დანერგვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ ფინანსური მხარდაჭერით (პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ძვირადღირებულ თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობით უზრუნველყოფა).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის და ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“-ს საფუძველზე. კერძოდ, პროგრამაზე მისაღები

კონტიგენტის (ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს ჯამში)

დადგენისას გათვალისწინებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა (15 სასწავლო თვე), პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტიდან პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალი (ბსუ-ს აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილებით), ასევე მოწვეულია დარგის სპეციალისტები, რომლებსაც სფეროში პრაქტიკული მუშაობის და პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია გააჩნიათ (ამას მოწმობს 2018-2020 წლებში ჩატარებული არა ერთი ტრენინგი, მათ შორის „პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები). პროგრამა განხორციელდება როგორც ბსუ-ს, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის (სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი) სასწავლო და პრაქტიკის ობიექტებზე. პროგრამის პროფესიულ მოდულებს წარუძღვებიან პრაქტიკის ობიექტებზე დასაქმებული დარგის სპეციალისტები - ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია A, B დ C გარემო. საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების განსახორციელებლად ბსუ გამოიყენებს მწვანე კონცხზე არსებულ მიწის ფართობს (C გარემო) და ბათუმის ბოტანიკური ბაღის ბაზას (C, $C_1$ $C_2$ გარემო). პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე/პარტნიორ ორგანიზაციაში მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (მათ შორის 20 ჰა-მდე სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი) და საბიბლიოთეკო რესურსი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, სპორტული ბაზები და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ერთი ნაწილის შეძენა მოხდა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, მეორე ნაწილი ბსუ-თვის შეიძინა UNDP-მ, ხოლო აღჭურვილობის დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს ბათუმის ბოტანიკური ბაღის საკუთრებას. აღნიშნული აღჭურვილობით ბსუ-ს პროფესიული სტუდენტების მიერ სარგებლობის შესახებ შეთანხმება მიღწეულია და ობიექტებთან გაფორმებულია მემორანდუმები. 2020 წლის შემოდგომიდან პროფესიული პროგრამების განხორციელებას ბსუ-ს ახალ, თანამედროვე სასწავლო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით აღჭურვილ სასწავლო კორპუსში გეგმავს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „მებაღეობა“ აფინანსებს სახელმწიფო (ვაუჩერული დაფინანსება). ვაუჩერული დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა „სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №244, 2013 წლის 19 სექტემბერი, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“). აღნიშნული წესით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ ღირებულება ერთ სტუდენტზე განისაზღვრა 4272 ლარით. ყოველწლიურად ბსუ 20 სტუდენტის მიღებას გეგმავს. შემოსული თანხა მოხმარდება პროფესიულ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის შეძენას, დანადგარების შენახვასა და მოვლა-პატრონობას და ა.შ. პროგრამის ბიუჯეტის თანახმად, პროგრამის ბიუჯეტი ფარავს პროგრამის ხარჯებს (იხ. პროგრამის ბიუჯეტი).